ოქმი:**ო31. 3123041001**
თარიღი:**10/02/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის ოქმი N2

ქ. ლანჩხუთი

08.02.2023 წელი

. 12:00 სთ

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე კახა კვიტაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი ცირა ბზეკალავა.

მოწვეული სტუმრები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერის პირველი მოადგილე ეკა გუჯაბიძე, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ რიგგარეშე სხდომა მოწვეული იქნა მუნიციპალიტეტის მერის წინადადებით და საკრებულოს თავმჯდომარის ინიციატივით, რათა დროულად იქნას გადაწყვეტილი მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: როლანდ ლაშხია/

2.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 02 11) განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ივლისის N 31 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: შოთა ჩაგუნავა./

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ“.

/ მომხსენებელი: გიორგი ჩახვაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ“.

/მომხსენებელი: შოთა ჩაგუნავა./

6. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ეკა გუჯაბიძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 3 219 929 (სამი მილიონ ორას ცხრამეტი ათას ცხრაას ოცდაცხრა) ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 5 %-იანი თანადაფინანსებით მიიმართება 169 472 ლარი, სულ პროექტების დაფინანსებაზე მიიმართება 3 389 401 ლარი დანართი N-1-ის შესაბამისად (აღნიშნული განკარგულების 2 000 000 ლარი მიმართულია დამტკიცებულ ბიუჯეტში, 1 389 401 ლარი მიიმართება გზების კაპიტალურ შეკეთებაზე.)

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულებით სოფლის პროგრამების მხარდაჭერის მიზნით მუნიციპალიტეტს გამოეყო 748 000 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის N277 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან დარჩენილი 32 063,34 ლარი მიიმართოს სოფლის მხარდაჭერის პროგრამების დაფინანსებაზე. გორგასლის ქუჩაზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საძირკვლის გამაგრებით სამუშაოს დაფინანსებაზე ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მიიმართება 260 949 ლარი.

მუნიციპალიტეტის შიდა გზების კაპიტალურ შეკეთებაზე მიიმართება 705 801 ლარი. მათ

შორის, საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის N330 განკარგულებით 2 727 ლარი, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N131 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 395 536 ლარი და მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით 307538 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2021 წლის 31 დეკემბრის N2577 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ნაშთიდან წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე მიიმართება 214 583,67ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მიიმართება 46 064 ლარი, სულ 260 647,67 ლარი.

მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაციაზე ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით მიიმართოს 51 064 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 იანვრის N131 განკარგულებით გამოყოფილი თანხიდან 539 504 ლარი მიიმართოს სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი არხების ნაგებობების მოწყობა რეაბილიტაცია - ექსპლუატაციაზე.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის N147 განკარგულებით გამოყოფილი თანხა 127 130,66 ლარი მიიმართოს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების დაფინანსებაზე.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 20 იანვრის N116 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 2 500 000 ლარი სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ. აქედან, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების ექსპლოატაცია-რეაბილიტაციაზე მიიმართოს 2276105 ლარი, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლოატაცია -რეაბილიტაციაზე 223895 ლარი.

ა(ა)იპ სპორტული ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლის 1 688 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 1 688 ლარით. ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო ცენტრის საქონელი და მომსახურების მუხლის 2 600 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 2 600 ლარით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდოს 55 000 ლარით.

საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 30 იანვრის N197 განკარგულებით მუნიციპალიტეტს ფინანსური დახმარების სახით გამოეყო 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი, რომელიც მიიმართება ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯების დაფინანსებაზე. შემცირდეს მიმდინარე ხარჯების დაფინანსებისთვის მიმართული წლის დასაწყისისათვის არსებული თავისუფალი ნაშთი 373761 ლარით. 163 848 ლარით გაიზარდოს შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლის გეგმა.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 თებერვლის N252 განკარგულებით მიმდინარე წლის იანვარში განვითარებული სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის (მთლიანად ან ნაწილობრივ დაზიანებული კერძო სახლები) კომპენსაციის გაცემის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ,,საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყო 1 525 000 (ერთი მილიონ ხუთას ოცდახუთი ათასი) ლარი, მათ შორის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს - 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.

გარდა ამისა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებით დამტკიცებულ ,,ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამაში (პროგრამის კოდი 06 02 01) საჭიროა ცვლილების შეტანა, კერძოდ განხორციელდეს ტექსტში კორექტირება, რომლის საფუძველზე პროგრამის მიზანი და აღწერა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე

მდებარე დიალიზის ცენტრამდე ტრანსპორტირებისთვის დაუფინანსდება სატრანსპორტო ხარჯი თითო ბენეფიციარზე ყოველთვიურად 90 ლარის ოდენობით, ხოლო პერიტონიულ დიალიზზე მყოფ ბენეფიციარს დაუფინანსდება სატრანსპორტო ხარჯი დიალიზისა და ნეფროლოგიის ცენტრში თვეში 4 ვიზიტი 64 ლარის ოდენობით.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ, **ია მოქიამ** ყურადღება გაამახვილა მიმდინარე წლის 14 იანვრის სტიქიასთან დაკავშირებით, როცა ძლიერმა ქარმა მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მუნიციპალიტეტს და აღნიშნა, რომ ,,ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ სწორად კოორდინირებულად და ეფექტურად მართა სალიკვიდაციო ღონისძიებები, რისთვისაც გამოიყო 2 500 000 ლარი. მან მადლობა გადაუხადა ცენტრალურ ხელისუფლებას და ასევე, მუნიციპალიტეტის მერიას გაწეული საქმიანობისთვის და აღნიშნა, რომ 270 დაზარალებული ოჯახისთვის შეძენილი იქნა თუნუქის გადასახური მასალა. დაახლოებით 100-მდე სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული ოჯახისთვის მოხდა გადახურვის უზრუნველყოფა, ხოლო 85-მდე ოჯახს გადაეცა ფულადი კომპენსაცია.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **კახა კვიტაიშვილმა** დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დავითობა, რის შემდეგ აღნიშნა, რომ დასრულდა გორგასლის ქუჩაზე კორპუსის გამაგრებითი სამუშაოები. მან შეკითხვით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს იმასთან დაკავშირებით, თუ როდის შევა ობიექტი ექსპლუატაციაში. გარდა ამისა, მოსახლეობამ გამოთქვა უმნიშვნელო პრეტენზიები, რომელიც გასათვალისწინებელია.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** პირველ რიგში აღნიშნა, რომ მეზობელ სახელმწიფოში საშინელი მიწისძვრის შედეგად დაღუპულია ათასობით ადამიანი და სამძიმარი გამოუცხადა თურქ ხალხს. საქართველოს ხელისუფლებამ თავის მხრივ განახორციელა მყისიერი რეაგირება და თურქეთში გაგზავნა სამაშველო ჯგუფები. ამის შემდეგ ის შეუერთდა დავითობის დღესასწაულის მილოცვას. გარდა ამისა, აღნიშნა, რომ საკრებულოს წევრს, ელისო ჭიჭინაძეს ავერსის ხელმძღვანელობამ მიანიჭა საუკეთესო ექიმ-ლაბორანტის წოდება, რაც ძალიან სასიამოვნო და მისალოცი ფაქტია. კორპუსის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სამუშაოები თითქმის დასრულებულია და ელოდებიან ექსპერტიზის პასუხს. ორჯერ პირადად იმყოფებოდა ადგილზე და შეხვდა სამუშოების მწარმოებლებს. მუნიციპალიტეტის მერი ყოველნაირად ცდილობდა, რომ ესა თუ ის ხარვეზი მაქსიმალურად ყოფილიყო აღმოფხვრილი და მაქსიმალური კომუნიკაცია ჰქონოდათ მოსახლეობასთან. თუ კი ამ ეტაპისთვის რაიმე პრობლემა არსებობს, თავის მხრივ მზად არის ჩაერთოს პროცესში.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ემზარ თევდორაძე** დაინტერესდა, გათვალისწინებულია თუ არა ამ პროგრამაში ქალაქის და სოფლების შიდა გზების მოწესრიგება.

მუნიციპალიტეტის მერმა განმარტა, რომ გასულ წელს ცდილობდა რაც შეიძლება მეტი თანხა ყოფილიყო ათვისებული, რაც საშუალებას მისცემდათ, რომ 2023 წლის ლიმიტი გამოთავისუფლებულიყო და მოხმარებოდა როგორც აკეთის გზის რეაბილიტაციას. ასევე, იმ შიდა სასოფლო გზების კეთილმოწყობას, რომელიც არის გარდამავალი პროექტები და ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები. უნდა აღინიშნოს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი, როგორც საუკეთესო შემსრულებელი, პირველ-მეორე ადგილებს იყოფს თერჯოლის მუნიციპალიტეტთან ერთად ქვეყნის მასშტაბით, რასთან დაკავშირებითაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროდან მიიღეს წერილობითი მადლობა. მთავარია დროულად მოხდეს დაწყებული სამუშაოების დასრულება, რის შემდეგ, გაზაფხულის ბოლოს აუცილებლად შედგება სამთავრობო სხდომა, სადაც იმსჯელებენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტისთვის დამატებით თანხის გამოყოფასთან დაკავშირებით. ასევე, არის მოლოდინი, რომ როგორც კარგ შემსრულებელ მუნიციპალიტეტს, ზაფხულის შუა რიცხვებში წახალისების მიზნით შეიძლება კიდევ გამოეყოს ფინანსები. გარდა ამისა, ის თანხა, რაც მუნიციპალიტეტებს ექნება აუთვისებელი, აუცილებლად უნდა გადანაწილდეს კარგ შემსრულებელ მუნიციპალიტეტებზე.

საკრებულოს წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანამშრომლებს არ გააჩნიათ ელემენტარული სამუშაო პირობები. მან მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ იქნებ ბიუჯეტიდან გამოიძებნოს რაღაც თანხა,

რათა მოხდეს ცენტრისთვის განკუთვნილი ფართის კეთილმოწყობა.

მუნიციპალიტეტის მერის განცხადებით, აბსოლუტურად ეთანხმება საკრებულოს წევრს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და განმარტა, რომ ფიქრობდნენ ფართის სრულად გარემონტებას, მაგრამ შემდეგ მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილება, მომხდარიყო ახალი შენობის მშენებლობა, რასთან დაკავშირებითაც გრანტის გამოყოფის შესახებ მიმართეს სხვადასხვა ორგანიზაციებს. მიუხედავად იმისა, რომ ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრში თავის დროზე განხორციელდა გარკვეული სარეაბილიტაციო სამუშაოები, უფრო მართებულია, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში გამოიძებნოს შესაბამისი ფართი, სადაც გაკეთდება ახალი შენობა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** თავის მხრივ აღნიშნა, რომ შესაბამისმა კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხებზე და პროექტს მხარი დაუჭირა შენიშვნების გარეშე.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N3 (08.02.2023).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის (ორგ. კოდი 02 11) განხორციელების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 4 ივლისის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან აღნიშნა, რომ პროექტში ცვლილება განპირობებულია შემდეგი გარემოებებით: დადგენილებაში დაფინანსების წყაროდ მითითებულია მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი. იმისათვის, რომ დადგენილება გავრცელდეს 2023 წელს წარმოშობილ ურთიერთობებზე, ხდება აღნიშნული ჩანაწერის რედაქტირება. გარდა ამისა, დონორი ორგანიზაციის მოთხოვნით ზუსტდება ბენეფიციართა წრე. დაფინანსების ზედა ზღვართან ერთად ფიქსირდება ქვედა ზღვარი და ასევე განისაზღვრება, რომ მუნიციპალიტეტის მერია გამარჯვებული პროექტის დაფინანსებას უზრუნველყოფს ბენეფიციარისათვის აღჭურვილობის შესყიდვითა და გადაცემის გზით. გათვალისწინებულია ასევე ბენეფიციარის თანამონაწილეობის შესაძლებლობა, როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური ფორმით. ასევე, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია პროგრამის დაფინანსებისათვის 100 000 ლარი, ხოლო დამატებით 100 000 ლარის მიღება გრანტის სახით დაგეგმილია გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისაგან (GIZ).

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N4 (08.02.2023).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილება:

1. მე-13 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საკრებულოს წევრის მიერ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან საკრებულოს წევრებს აუნაზღაურდებათ, რომლის ზღვრული ოდენობაა თვეში 750,0 ლარი.

საკრებულოს წევრმა **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ უერთდება მილოცვებს და ასევე, სამძიმარი გამოთქვა თურქეთში მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაღუპული ადამიანების გამო. ამის შემდეგ, გარკვეული შენიშვნა გამოთქვა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით. კერძოდ, სასურველი იქნებოდა, რომ არათანამდებობის პირთა მიმართებაში მატება ყოფილიყო 15-20 %-ის ფარგლებში. მისი ინფორმაციით, ამის შესახებ საუბარი მუნიციპალიტეტის მერთანაც იყო, მაგრამ მისთვის გაუგებარია, რატომ მოხდა 10 %-ან მატებაზე შეჯერება. გარდა ამისა, კარგი იქნება, თუ გადაიხედება საკრებულოს წევრებისთვის გარკვეული ოდენობის საწვავის გამოყოფის საკითხიც.

მუნიციპალიტეტის მერის განმარტებით, ამ ეტაპისთვის პრინციპი ქვეყნის მასშტაბით არის ყველასთვის ერთი, მაგრამ ამ კუთხით მიდის მუშაობა და არათანამდებობის პირებთან მიმართებაში პირველი კვარტლის შემდეგ შეიძლება ისევ დაუბრუნდნენ აღნიშნულ საკითხს, რადგან ბიუჯეტში შესაბამისი თანხა არის. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან რთულია, მაგრამ თუ მაჟორიტარი დეპუტატი წარმოადგენს გაწეული საქმიანობიდან გამომდინარე შესაბამის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, შესაძლებელია თანხის გაზრდა.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N11 (08.02.2023).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი ჩახვაძემ.** მან აღნიშნა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობებში“ შესატანი ცვლილებები განპირობებულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე. მათი საქმიანობის დაფასებისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ხელფასების გარკვეული რაოდენობით გაზრდის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა ხელფასების მოწესრიგება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N5 (08.02.2023).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი

სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან აღნიშნა, რომ „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შეიცვალა დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი, რამაც განაპირობა წარმოდგენილი ცვლილების ინიციირება. პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა უკვე განსაზღვრულია საკრებულოს მიერ დამტკიცებულ მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N6 (08.02.2023).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერის პირველი მოადგილემ **ეკა გუჯაბიძემ.**

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 17 წევრი.
მომხრე საკრებულოს 17 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N12 (08.02.2023).

ამით საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

8 თებერვალი **2023** წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 55	
2	ემზარ თევდორაძე	11 50	
3	ვერიკო კვირკველია	12.00	
4	გიორგი ჩახვაძე	11 50	
5	გიორგი ხელაძე	11 50	
6	ალექსანდრე მახათაძე	11 50	
7	ზაზა წულაძე	11 50	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
9	გიორგი იმნაიშვილი		
10	ია მოქია	11:55	
11	კახაბერ ასკურავა		
12	მაკა მშვიდობაძე	11:55 წთ.	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 55	
14	კარლო წილოსანი	11 56	
15	ლოლიტა ურუშაძე	11:59	
16	ნინო მშვიდობაძე	11:58	
17	გოგი მორჩილაძე		
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-54	
19	გიორგი გოგუაძე		
20	გოჩა ჯანაშია		
21	ელისო ჭიჭინაძე		
22	რევაზ კვერენჩხილაძე		
23	კახა თედორაძე		

24	დარეჯან ბურჭულაძე	11 55	
25	ირმა მგელაძე		
26	გივი ცინცაძე		
27	ჯუმბერ ბლაგიძე	11 55	